№ 2701
პარასკევი,
17 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2701
პარასკევი,
17 დეკემბერი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წლიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.	ფასი გაზეთისა გაგზავნით წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.	საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ წლიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.	ფასი ჟურნალისა გაგზავნით ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“	საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ

უაზბეკის ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

ქ. ქუთაისში, კვირას, 19 დეკემბერს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

პიმენ იაგორის ძის გაბაშვილის

და წლის წირვა და პანაშვიდი

სიმონ პიმენის ძის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებულთა ქირისუფლები **ნინო ავთანდილის ასული, მარიამ, ალექსანდრა, თამარა, ეკატერინე პიმენის ასულნი და კონსტანტინე პიმენის ძე გაბაშვილები.** (1—ნ.—1)

ქეთევან, გიორგი, თომა, სამსონ და ალექსანდრე ფირცხალავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი—ქმრისა, მეორე და მესამე ძმისა და დანარჩენები—ბიძის

ლევან ბუჭუას ძის ფირცხალავასას

მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (გორის ქუჩა № 7, დიდუბეში) პარასკევს, 17 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე და წაასვენებენ რკინის გზის სადგურზე. (1—420—1)

ქ. ქუთაისში, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე გადაიცვალა მთავარ ანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი

რაჟდენ გიგაური

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და სამწყსოს გადაცვალებულის **მეუღლე და შვილები.** პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 და საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 დეკემბერს. (1—ნ.—1)

ქართული წარმოდგენა—ვეტცელის თეატრში.

პარასკევს, 17 დეკემბერს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I უბედური ნაბიჭი
დრამა 3 მოქმ. კარეევისა. თარგ. შ. დადიანისა.

II თავის ბრალია
ვოდევილი ერთს მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქბ-ნნი ნ. ჩხეიძისა, ოლ. ლეჟავა, ნებიერიძისა, ჯავახიშვილისა; ბ-ნნი ვ. გუნია, მ. ქორიძე, დ. ჩარკვიანი. ვ. შალიკაშვილი და სხვანი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

(2—2) წარმოდგენას დასდგამს ვალ. გუნია.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

პარასკევს, 17 დეკემბერს 1904 წელს

წარმოდგენილი იქნება: „მაზეპა“ ოპერა 5 მოქმ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: შიხუტსკაია, ტულლერი, ხარიტონოვა, ზასლავსკაია; ბ-ნნი: სიკაჩინსკი, პოლუიანოვი, დემიანენკო, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

18 დეკემ.—„რიგოლეტო“. გამგე ი. ა. კელლერი.

ექიმს
იწვევს სოფელი ახალ-ქალაქი

პირობების შეტყობა შეიძლება სოფ. ახალ-ქალაქის სამკითხველოში. რკინის გზის სადგური **გრაკალი.** (6—5).

ექიმი
ი. ე. ბამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიოგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—25)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

გრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 12—1. და საღამოთი 6—8 საათამდე. ელისაბედისქუჩა, № 160. (თვ.—3)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

კოლოანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს. დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—21)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—13)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიიმი
ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—23)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მალალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—4)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი მდივნისა № 12. „კრუჟოკის“ გვერდით. (30—6.—4)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—3)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ რადგან 12 დეკემბერს დანიშნული კრება არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, **საგანგებო კრება** საზოგადოებისა დანიშნულია ხელმეორედ სამშაბათს, 21 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზშივე და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნები:

1. ბ-ნ ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ.
3. მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ.
4. მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5. „ქ. დრ. ს.“ მომავალ 25 წლის იუბილეის პროგრამა.
6. ახალ წევრების არჩევა. (3—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
15 დეკემბერი

პეტერბურგი. ოფიციალურად. დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა 14 დეკემბერს 1904 წელს: „14 დეკემბერს არ მოგვსლია ცნობები სამხედრო შეტაკებათა შესახებ. 12 დეკემბერს კავკასიის ბრიგადის ნაწილი მდ. ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე ადგილებს ზვერავდა და ერთი რაზმი მივიდა სოფელ ბეიციაგოუსთან მდ. ხუნხეზე. წინ გაგზავნილმა პარტიამ მზვერავებისამ აღმოაჩინა თხრილებში მიმალული იაპონელები და პოდესაულ მისტულოვის უფროსობით იერიში მიიტანეს თხრილებზე. ამ თხრილებიდან გაქცეულ იაპონელთაგან ჩვიდმეტი აკუწეს ცხენოსნებმა. მაგრამ დევნა ველარ განაგრძეს, რადგან სოფელ ბეიციაგოუდან დახმარება აღმოუჩინეს იაპონელებს. ჩვენ სასიკვდილოდ დაგვიჭრეს ერთი და მოკვდა სოტნიკი თავადი ელდაროვი; პოდესაულ მისტულოვს ორი ტყვია მოხვდა, მაგრამ რაზმისათვის თავი არ დაუნებებია; ხმალი მეორე მოქნევაზე გადაუტყდა. ჯარის კაცებთაგან 5 მოჰკლეს და ხუთი დასჭრეს. 12 დეკემბერს მარჯვენა ფლანგზე ჩვენმა რაზმმა ხორუნჟ იაკშინის უფროსობით აღმოაჩინა ერთ სოფელში 22 იაპონელი მზვერავი და ხმალდახმალ მიესია მათ; ნაწილი აკუწეს და ნაწილი გაიქცა; ურიადნიკ ნამახანოვმა დაატყვევა იაპონელი ვახმისტრი. ღამე 12 დეკემბერს ს. ლინშინპუში ჩვენმა რაზმმა სცადა იმ ფანზების აღება, რომელნიც 10 დეკემბერს დაანგრიეს პიროქსილინით; მაგრამ მტრის სიახლოვემ ნება არ მისცა მათ ჩუმად. მოეხდინათ ეს საქმე და რაზმის ნაწილმა მიირბინა ფანზამდე ძლიერ სროლის დროს. თავის შეფარება ამ ფანზებში შეუძლებელი იყო, რადგან კედლები იაპონელების მხარეს სულ დანგრეული იყო და იაპონელების თხრილებიდან 50 ნაბიჯზე ისროდნენ თოფს. რაზმმა დაჰკარგა პრაპორშჩიკი პროკუდინი და ორი ჯარის კაცი; შემდეგ რაზმი გამოიყვანეს ფანზიდან და მიაფარეს თიხით შელესილ კედელს, რომელიც გაამაგრეს მიუხედავათ ხშირის სროლისა მტრის მხრივ; ფანზები ჩვენ ხელში დარჩა. სარწმუნო წყაროების მიხედვით, იაპონიის ჯარში, რომელიც ჩვენ მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ მოქმედებს, ხუნხუზების რაზმებია იაპონელ ოფიცრების ხელმძღვანელობით. დოკუმენტებისა და უბის წიგნებიდან, რომელიც მოკლულ ხუნხუზებს უპოვეს ტაიპინლის უღელტეხილზე, სჩანს, რომ ხუნხუზები იაპონელების სამსახურში იყვნენ შემდეგის პირობებით: ასისთავს 200 მან. ეძლეოდა, ვახმისტერს—20 მ., ზვოდნის—18, უბრალო ჯარისკაცს—13 მანეთი თვეში.

პეტერბურგი. ოფიციალური. გენერალის ბარონ კაულბარსის უქვეშევრდომილესი დეპეშა 14 დეკემბერს 1904 წელს: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ დღეს, დავამთავრე რა მესამე არმიის მოწინავე პოზიციების დათვალიერება, ყველა როტასა და ბატარეას გამოვუცხადე თქვენის უდიდებულესობის უმოწყალესი მადლობა სამსახურისათვის, რამაც გამოიწვია აუწერელი აღტაცება და მრისხანე რუსული „ურა“ გაისმა მოწინავე პოზიციებზე. ჯარი კარგ გუნებაზეა. საბრძოლველ პოზიციებიდან წასვლას და უკან დახევას არავინ არ არის მოწადინებული. სალდათები კარგად და ჯანმრთელად გამოიყურებიან, რადგან საჭმელი კარგი აქვთ. მაწურები საკმაოდ თბილია. ჯარმა საზოგადოდ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა“.

ლონდონი, 13 დეკემბერი („რეიტერი“). „ტაიმს“-ი, როგორც იქნა, ამბობს, რომ წასულ ზაფხულსა და შემოდგომაზე იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათო.

ტოკიო, 15 დეკემბერი („რეიტერი“). სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა სია. ამ სიით მოკლულ იქნა 33 ოფიცერი და დაიჭრა 56. უთუოდ ეს ზარალი პორტ-არტურთან მოუვიდათ იაპონელებს. აცხადებენ, რომ 9 ოფიცერი და 65 მატროსი მოკვდა სამსახურის მოვალეობის ასრულების დროსაო. გამორკვეული არ არის, როდის მოხდა ეს, სად და როგორ. ჰფიქრობენ, რომ ერთი კრეისერი წააწყდა ნაღმს და ჩაიძირა ან დაზიანდა.

ლას-პალმასი, 15 დეკემბერი („რეიტერი“). მოგადორიდან მოსულ გემზე მყოფნი ამბობენ, რომ ზღვაში, კანარის კუნძულების პირდაპირ, ვნახეთ რუსის რამდენიმე გემი და ტრანსპორტი, რომელნიც სამხრეთისკენ მიდიოდნენო. როდესაც ინგლისის კრეისერს ეს ამბავი გაუგია, ამ[illegible] [illegible] წასულა.

ტოკიო, 15 დეკემბერი („რეიტერი“). პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარი დარწმუნებულია, რომ მშველელნი პორტ-არტურის გამოსახსნელად პირველ მარტამდე მოვლენო. მეციხოვნენი კვლავინდებურად კარგ გუნებაზე არიან. ჯარი მზად არის ბოლომდე იბრძოლოს.

ტოკიო, 15 დეკემბერი („რეიტერი“). სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გენერალი სტესსელი დაშავდა ცხენიდან ჩამოვარდნის დროსაო.

ტოკიო, 15 დეკემბერი („რეიტერი“). ზედა პალატამ ერთხმად მიიღო სამხედრო ბიუჯეტი იმ რიგად, როგორც წინად იყო შემუშავებული. მიიღო აგრეთვე ჩვეულებრივი ბიუჯეტი 1905 წლისა იმ ცვლილებებით, როგორც დეპუტატთა პალატამ შეიტანა. შემდეგ ზედა პალატამ მიიღო წინადადება ახალ გადასახადებისა და სხვა საფინანსო პროექტების შესახებ დეპუტატთა პალატის მიერ მოწონებულ რედაქციით. იაპონია დასთანხმდა მოელაპარაკოს შეერთებულ შტატებს სამედიატორო სასამართლოს შესახებ ხელშეკრულობის დასადებად.

16 დეკემბერი

ტოკიო, 14 დეკემბერი (ბერლინიდან მიღებული ცნობა). გაცხარებით მსჯელობენ იაპონიის სამხედრო მინისტრის შემდეგ სიტყვების შესახებ: „ჩვენ ერთობ ნელა ვმოქმედებდით; შემდეგში უფრო ჩქარი მოქმედების გზას დავადგებითო“. ამ სიტყვების გამო უნდა ვიგულისხმოთ, რომ იაპონელები წინსვლას შეუდგებიან, რა წამს ოიამას არმიას უკანასკნელი მაშველი ჯარი შეუერთდება.

შანხაი, 15 დეკემბერი („რეიტერი“). დაოტაიმ უბრძანა ფუზუნში სამხედრო გემებს და შანხაიში დარაჯ ოფიცერს ზომები მიიღონ, რათა წასვლა დაუშალონ „ასკოლდ“-სა და „გროზოვოი“-ს. ჩინეთის კრეისერების მოსვლას ელიან.

ტოკიო, 15 დეკემბერი („რეიტერი“). ტოგო, კამიმურათი და სხვა ოფიცრებით, ალბად, 17 დეკემბერს მოვა ტოკიოს, სადაც იმპერატორი მიიღებს მას და გამარჯვებას მიულოცავს.

გონგკონგი, 15 დეკემბერი („რეიტერი“.) 14 დეკემბერს ამოის იაპონიის დიდი კრეისერი მოვიდა. დღეს გაშლილ ზღვაში გონგკონგის ახლოს დაინახეს იაპონიის ორი კრეისერი.

შანხაი, 14 დეკემბერი (ბერლინში მიღებული ცნობა), კუნძულ ფორმოზიდან ერთ დივიზიაზე ბევრად მეტი ჯარის გადაყვანა ამას წინად დაბრკოლდა, ამ ჟამად

კი სრულის წესით სწარმოებს. გამოურკვეველია საკითხი, შეუერთდა თუ არა მეშვიდე დივიზია პორტ-არტურის საალყო არმიას. ის გარემოება, რომ პორტ-არტურის უკანასკნელ შტურმებში რაზმების მცირე რიცხვმა მიიღო მონაწილეობა, ცხადად უარჰყოფს ხმას, თითქო იაპონელებს ახალი ჯარები მოსვლოდეთ. ჩრდილოეთ ფრონტზე იაპონელებს 5 ათას კაცზე ნაკლები ჰყავდათ.

ტოკიო, 15 დეკემბერი („რეიტერი“). გამოქვეყნებულია დამატებითი სია, რომელშიაც მოთავსებულია, ალბად, პორტ-არტურთან მოკლული 18 აფიცერი და 86 დაჭრილი. ამტკიცებენ, იაპონელები დინამიტის ნაღმებს აწყობენ და პარალელურ ტრანშეებს აკეთებენ პორტარტურის უმთავრეს სიმაგრეების ცენტრისა და აღმოსავლეთ ნაწილის პირდაპირ. მუშაობა ჩქარა სწარმოებს. იაპონელების მარჯვენა ფრთა გამწვავებულადა და ნაყოფიერად უშენს ზარბაზნებს ახალ ქალაქს და ამზადებს ახალ იერიშს, რომელსაც, ალბად, ციხის დასავლეთ ნაწილზე მიიტანენ, რათა ამნაირად შეასუსტონ რუსის ჯარი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

15 დეკემბერი

ჩანსიამუტუნი, 13 დეკემბერი, ღამის 5 საათი და 18 წამი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ჩვენის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ ჩინელთა რაზმები იაპონიის ჯართან ერთად მოქმედებენ. 11 დეკემბერს დილით 200 იაპონელმა და 300 ხუნხუზმა ტაიპინლინის უღელტეხილს ახლო გვერდიდან მოუარეს ჩვენს სანგარს, თოფი დაუშინეს და ჩვენი რაზმი სანგრიდან განდევნეს. მაშველი ჯარი მივიდა, იქვე ახლო გორა დაიჭირა, იაპონელებს თოფი დაუშინა და ნაშუადღევის 2 საათზე უღელ-ტეხილი აიღო; იაპონელები და ხუნხუზები წავიდნენ, მოკლული და დაჭრილი ამხანაგებიც თან წაიყვანეს. ველზე 7 ჩინელის გვამი დარჩა ლურჯ ტანისამოსით. მოკლულები ჩინეთის მილიციის პირველ, მეორე და მეექვსე სოტნებს ეკუთვნოდნენ. ბანიუპუზაზე ღამით მიტანილ იერიშის დროს მოჰკლეს: პოდპორუჩიკი ერლიკოვი, პიჩუგინი და ანტონოვი.

სახეტუნი, 15 დეკემბერი. სამხედრო მოქმედების ასპარეზზე წანანდებურად გამოურკვეველი მდგომარეობაა. ორივე მხარე გამაგრებას განაგრძობენ. იაპონელების მზვერავი რაზმები მდინარე ლიაოხეს ახლოს ნახეს. ჩვენი მოხალისენი და ყაზახთა რაზმები ყოველ დღე აწუხებენ მტერსა. საზოგადოთ ცოტა ამბები ხდება.

ჩიფუ, 15 დეკემბერი. ვლადივოსტოკიდან ინგლისის გემი „ელამი“ მოვიდა 900 ჩინელით. გემის კაპიტანს კუნძულ კველპარტთან ბევრი პროჟექტორი უნახავს. კორეისა და ჩიფუს შუა სხვა და სხვა დროს იაპონიის კრეისერები, კონტრ-ნაღმიანი გემები რიცხვით 17 შეჰხვედრია, მაგრამ სამხედრო გემებმა მაინც გემი „ელამი“ არ შეაყენეს.

პეკინი, 15 დეკემბერი. კარგად იცოდნენ, რომ იაპონელები ჩინეთის პორტებით სარგებლობდნენ, მეტადრე ჩიფუთი და ამ პორტებიდან კვანტუნზე ჯარისათვის კონტრაბანდა გაჰქონდათ, მაგრამ ავგისტოს შემდეგ, ამაზე ისე ბეჯითად დაიწყეს ლაპარაკი, რომ იაპონელებმა, როგორც ეტყობა, ჩიფუდან კონტრაბანდის გადატანაზე ხელი აიღეს. იაპონელები, რასაკვირველია, სხვა პორტებიდან მაინც გაიტანენ კონტრაბანდას.

ბერლინი, 15 დეკემბერი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ ლონდონიდან, იქ ჰფიქრობენ, ვითომ იაპონელები რუსებს ლიაოტეშანის გზის მოჭრას უპირობდნენ. ტოკიოში ლაპარაკობენ, პორტ-არტური ექვს სევასტოპოლს უდრის, გორებზე აშენებულსაო. იაპონელებს ზავის ჩამოგდება ჰსურთ. ეს სიძვირითა და უსაქმობით აიხსნება. იაპონური პრესსა მოურიდებლად არჩევს ომისაგან მოტანილ ზარალს და რაც უნდა სასტიკი კრიტიკა იყოს, მაინც მთავრობა ხმას არ სცემს.

ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე

ჟურნალ-გაზეთებიდან

საუბარი კაპიტან კლადოსთან. პარიზელ გაზეთების კორესპონდენტებს კაპიტანი კლადო რკინის გზის მატარებელში უნახავთ და ულაპარაკებიათ.

გულის ინციდენტის თაობაზე კაპიტან კლადოს უთქვამს „ჟურნალ“-ის თანამშრომლისათვის:

26 წელიწადია ვმსახურობ და ვიცი, ნაღმიანი გემი როგორია და მეთევზის გემი როგორი; ისიც ვიცი, მეთევზის გემად გადაკეთებული ნაღმიანი გემი როგორი იქნება. და აი მე ვამტკიცებ, რომ ჩემის საკუთარის თვალით დავინახე, ორი ნაღმიანი გემი „სუვოროვ“-ისაკენ მოდიოდა.

— ამბობენ, ნისლი იდგა იმ დროსაო,—შეუნიშნავს კორესპონდენტს.

— სულაც არა ყოფილა ნისლი,—მიუგია კლადოს.—მთვარე ანათებდა ლამაზად. იაპონიის ორი ნაღმიანი გემი დავინახე. წინადვე შეგვატყობინეს და ფრთხილად ვიყავით. ერთი ნაღმიანი გემი ჩვენმა ყუმბარებმა ჩასძირა, მეორე დააზიანა.

— მეორე, ალბად, თითონ იაპონელებმა ჩასძირეს, არა?

— შეიძლება.

— თქვენ (რუსებს) გისაყვედურებენ, რატომ დაჭრილებს დახმარება არ გაუწიესო?

— მტრის ერთი ნაღმიანი გემი ხომ კიდევ დარჩა, ჩვენ-კი ბძანება გვქონდა მოცემული—გზას გაუდექითო.

თავის წერილების თაობაზე ბ. კლადოს უთქვამს:

— მე იმ შოვინისტთაგანი არა ვარ, იაპონია რომ სუსტ სახელმწიფოდ გამოჰყავთ. მე ვიცოდი, რომ იაპონია საშიში მტერი იყო, ომის დაწყების დროს რუსის ფლოტი სუსტი იყო იაპონიის ფლოტზე. ეხლა პორტ-არტურის ესკადრა აღარ არსებობს. მაგრამ ბოლოს დროს ჩვენ არცა გვქონია ამ ესკადრის იმედი. თუ ადმირალ როჟესტვენსკის მაშველ ესკადრას გაუგზავნიან, მაშინ ნამდვილად ჩვენ გავიმარჯვებთ. უმაშველ ესკადროთ, ადმ. როჟესტვენსკი შეიძლება დამარცხდეს. ეხლანდელი ომი განსაკუთრებით საზღვაო ომია, სანამ ზღვაში ბატონობას არ მოვიპოვებთ, იაპონელებს მანჯურიიდან ვერ განვდევნით, იმიტომ, რომ იაპონიიდან მუდამ მაშველი ჯარი მოუვათ. („ნ. დ.“).

გულის ინციდენტი. დეპეშიდან ვიცით, რომ ომის წინად პარიზში საერთაშორისო კომისია შეიკრიბა და გულის ინციდენტის გარჩევას შეუდგა. კომისია ხუთის ადმირალისაგან შესდგება: ერთი ინგლისელი ადმირალია, ერთი რუსი, ერთი ფრანგი და ერთი ამერიკელი. ამ ოთხმა ადმირალმა კომისიის მეხუთე წევრად ავსტრიელი ადმირალი შპაუნი აირჩია და კომისია ამ დღეებში საქმის გარჩევას შეუდგა.

„ჟურნალ დე ჟენევა“-ს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: პარიზში ხმა დადის, სამი ადმირალი ინგლისის მხარესაა, მაგრამ იქნება ეს ხმა მართალი არ იყოს. („ნ.“).

„დეილი მეილ“-ი იუწყება: მეთევზეთა ფლოტილიის პატრონებს ცნობა მიუღიათ, ვითომ გულში რუსეთის მთავრობის აგენტები მისულან და მეთევზეების შესყიდვას ცდილან,—უთხოვნიათ, რუსების სასარგებლოდ ილაპარაკეთო. რუსის აგენტები სახლში იწვევდნენ მეთევზეებს, გულუხვად უმასპინძლდებოდნენ, უფრო გულ-უხვად ასმევდნენ ღვინოს—უნდოდათ დამთვრალ მეთევზეებისათვის ეთქმევინებინათ, რომ მეთევზეთა ფლოტილიამ იაპონიის ნაღმიანი გემები დამალაო. რუსეთის აგენტები ფულს არა ჰზოგავდნენ და ხუთ თუმნიანებს ბუჩოსავით აბნევდნენო. („ნ. ვ.“).

პორტ-არტური. პორტ-არტურიდან ჯონკით რუსის აფიცერი მოვიდა ჩიფუში და ილაპარაკა, გენ. სტესელს 1 დეკემბერს 16 ათასი კაცი ჰყავდაო. საკვები სურსათი სამ თვეს ეყოფა; სამხედრო სურსათი საკმაო აქვს; პორტ-არტურში დარწმუნებულნი არიან, რომ ბალტიის ესკადრა წყნარ ოკეანეში მოვიდა კიდევაცაო. („ნ. დ.“).

„ბერლ. ლოკალ-ანცაიგერ“-ი ამბობს, 5 დეკემბერს აღებულ ჩრდილოეთ კიკვანშანს იაპონელები ტუნგ კიკვანშანს ეძახიანო. („ნ “).

„ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ამბობს პორტ-არტურის ფორტებში ყველაზე მეტი მნიშვნელობა ერლუნშანსა, სუნშუშანსა და ერლუნშანის უკან მდებარე მწყრის გორას („პერეპელინაია გორას“) აქვთო.

„იაპონიის ფლოტი ინდოეთის ოკეანის შესავალში“. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: „ტელეგრაფმა მეტად საყურადღებო ამბავი მოგვიტანა. იაპონიის ფლოტი, ეხლანდელ ომის დროს, პორტ-არტურთან 27 იანვარს ბრძოლის შემდეგ, ჯერ ასეთ დიდ საქმეს არ შესდგომია. 9 დეკემბერს სინგაპურში იაპონიის ორი მაშველი კრეისერი მოსულა (ალბად, „ჰონკონგ მარუ“ და „ნიპონ მარუ“, თითოს 10,500 ტონა წყალწყვა აქვს და საათში 18 მილს გადის); ამათ შემდეგ სინგაპურის წინ დასავლეთისაკენ-ინდოეთის ოკეანისაკენ იაპონიის ესკადრასაც გაუვლია. ესკადრა 2 ჯავშნიან გემისა, 2 ჯავშნიან და 2 პალუბა-ჯავშნიან კრეისერისა და 12 ნაღმიან გემისაგან შესდგებოდა. ასე რომ იაპონიის ფლოტის მოწინავე რაზმი ვიცე-ადმირალ კამიმურას უფროსობით ინდოეთის ოკეანეში შესულა. ელოდნენ, ვითომ იაპონიის ფლოტი პესკადორის კუნძულებსა ან სამხრეთ-ჩინეთის ზღვის იქით აღარ წავაო, მაგრამ, ეტყობა, ეს მოლოდინი არ გამართლდება. თუ ადმ. კამიმურას დივიზიას ადმ. ტოგოს უმთავრესი ესკადრაც მიჰყვება, მაშინ ფლოტის მოქმედების ასპარეზად წყნარი (დიდი) ოკეანე-კი არა, ინდოეთის ოკეანე გახდება. ადმ. ნელსონის (განთქმული ინგლისელი ადმირალი ნელსონის მე-XVIII საუკუნის გასულს და მე-XIX საუკუნის დამდეგს მოქმედებდა) შემდეგ, მგონია, დიდი საზღვაო ომი პირველად დატრიალდება ფართო ასპარეზზე, მეომარი ფლოტები ნაპირებს ახლო-კი არა, ოკეანის სივრცეში დაიწყებენ ბრძოლას და უფროს ადმირალებს არა თუ მარტო ტაქტიკური, რთულ სტრატეგიულ საქმეების შესრულება დასჭირდებათ. მომავალ ბრძოლის შედეგი არა თუ მარტო რუსეთისა და იაპონიის ესკადრების ძლიერებასა და იმათ მეზღვაურების ღირსებაზე, უფროს ადმირალების ნიჭიერებასა და შორმხედველობაზეც იქნება დამოკიდებული, რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ადმ. ტოგომ მხოლოდ დემონსტრაცია მოახდინოს ინდოეთის ოკეანეში, უმთავრეს ფლოტით ვიცე-ადმ. როჟესტვენსკის დასახვედრად არ წავიდეს და რუსის ესკადრას ზონდის არხიპელაგში მოუცადოს. ინდოეთის ოკეანეში გავლა ქარიშხლის დროს (ეხლა იქ ქარიშხალი იწყება) უსათუოდ ცუდად იმოქმედებს ესკადრაზე, ამიტომ შესაძლებელია რომ ადმ. ტოგომ დიდ ოკეანეში მოუცადოს რუსის ფლოტს. დიდ ოკეანეში რომ დარჩეს, ადმ. ტოგო 3500 მილის გავლას თავიდან ააცილებს თავის ესკადრას და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას, ინდოეთის ოკეანეში ძნელ მგზავრობით დაღალულს, შეებრძოლება. მაგრამ ინდოეთის ოკეანის გავლა არც თუ ძლიერ გაუძნელდება ადმ. ტოგოს; ეს სიძნელე როდი უნდა გავაზვიადოთ. იოკაგამიდან სინგაპურამდე იაპონიის გემებმა 3,250 მილი გაიარეს კიდევაც, ესე იგი იაპონიიდან მადაგასკარამდე გზის ნახევარი თითქმის გაიარეს და ადმ. ტოგო სინგაპურთან იაპონიის ახლობელ პორტებს (პესკადორის კუნძულებსა და ფორმოზაზე) 1,750 მილზე მოჰშორდა. ასე რომ ადმ. ტოგოს ეხლა აღარ შეუძლიან იაპონიის ნავთ-სადგურებით სარგებლობა და ასე თუ ისე ქვანახშირის საქმეც მოწყობილი ექნება; ეხლა იაპონელებისათვის დიდ განსხვავებას აღარ შეადგენს, რუსის ფლოტს სამი ათას მილის მანძილზე შეებრძოლნენ იაპონიის დოკებიდანა და არსენალებიდან, თუ 6 ათას მილის მანძილზე. საქმე ისაა, ღირს, რომ ადმ. ტოგომ ინდოეთის ოკეანე გაიაროს და აფრიკის ნაპირებთან გაჩნდეს თუ არა. ადმ. ტოგო ეხლა უმთავრესად იმას ეცდება, რომ წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის სამსავე რაზმს შეერთება დაუშალოს. სინგაპურთან ადმ. ტოგო 3,750 მილის მანძილზეა ჯიბუტიდან, საიდანაც კონტრ-ადმირალ ფელკერზამის რაზმი ამას წინად გავიდა, იმ დროს, როცა ვიცე-ადმირალი როჟესტვენსკი წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის უმთავრეს რაზმით კეთილ იმედის კონცხთან იყო და 4,900 მილის მანძილზე იდგა ჯიბუტიდან; მაშასადამე, ადმ. ტოგო უფრო ახლოა ადმ. ფელკერზამის რაზმზე, ვიდრე ადმ. როჟესტვენსკის რაზმი. რომ რუსის ესკადრის რაზმები ცალ-ცალკე არ შეჰხვდნენ ადმ. ტოგოს, წყნარ ოკეანის ესკადრის ორივე რაზმი თავდაპირველად ერთმანეთის შესახვედრად უნდა გაემართნენ, ესე იგი პირ-და-პირ ცეილონისა და სინგაპურისაკენ-კი არა, აფრიკის ნაპირ-ნაპირ უნდა წავიდნენ; ადმ. როჟესტვენსკი ჩრდილოეთისაკენ წავა, ადმ. ფელკერზამი სამხრეთისაკენ. რუსის ესკადრის ორივე რაზმი თითქმის თანასწორად ნელა დადიან და სადმე შუა გზაში, ესე იგი მოზამბილის სრუტის ჩრდილოეთ გასავალთან შეჰხვდებიან ერთმანეთს. უცხოეთის პრესა ჯერ კიდევ ნოემბერში იუწყებოდა, ადმ. როჟესტვენსკი და ადმ. ფელკერზამი დიეგო-სუარეცის ბუხტაში შეჰხვდებიან ერთმანეთსაო. დიეგო-სუარეცი მადაგასკარის ჩრდილოეთ ნაპირას მდებარეობს, 2,580 მილის მანძილზე კეთილ იმედის კონცხიდან, 2320 მილის მანძილზე ჯიბუტიდან და 3,450 მილის მანძილზე სინგაპურიდან. ადმ. ტოგოს ესკადრა 30 ნოემბერს ქვანახშირს უდებდა შანტუნის კონცხთან და ცხრა დღის შემდეგ სინგაპურში გაჩნდა, მაშა-

ფელეტონი

რუსული თვით-მმართველობა

ჩვენც გვაქვს „თვით-მმართველობაო“, სწერს „მირ ბოჟი“-ში ლ. კლეინბორტი,—სოფლისთვის ერობა, ქალაქისთვის საქალაქო თვით მმართველობა. ამ რუსულ თვით-მმართველობასაც აქვს თავისი ისტორია, მაგრამ როგორი? ისეთი, როგორც ევროპაში, თუ თავისებური, განსხვავებული?

დიდ რეფორმების ეპოქამდე (სამოციანი წლები) თვით-მმართველობაზე და წარმომადგენლობაზე ლაპარაკი შეუძლებელია: რომ პეტრე დიდი ან ნიკოლოოზ პირველი, არ შეიტანდნენ ცხოვრებაში ისეთ პრინციპს, რომელიც აბსოლიუტიზმის წინააღმდეგია, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. მაგრამ ყირიმის ომმა ბევრს აუხილა თვალი: „კომანდა“-მ არა თუ ეგზამენი ვერ დაიჭირა, სრული მოუმზადებლობა და უვიცობაც გამოიჩინა. თვითონ ნიკოლოოზ პირველი იძულებული გახდა გამოტეხილიყო სიკვდილის წინ, რომ „კომანდის“ გარეგან სიძლიერის ქვეშ იმალება სისუსტე და გახრწნილება, თვითონ ადმინისტრატორებმა დაინახეს, რომ მთავარი მიზეზი არსებულ უნუგეშო მდგომარეობისა „მთავრობის ძლიერი მზრუნველობა“ და დამოუკიდებელ საზოგადოებრივ დაწესებულებათა უქონლობაა. ყველა პარტიების წარმომადგენელნი—ლიბერალები, კონსერვატორები, სლავიანოფილები—ან წინ კონსტიტუციონალურ ევროპისაკენ იცქირებოდნენ ან და უკან, ძველ რუსეთისაკენ, როცა ხალხს ჯერ კიდევ ხმა ჰქონდა საქვეყნო საქმეებში („ვეჩე“); ყველა კატეგორიულად უარსჰყოფდა მთავრობის გადაჭარბებულ „მზრუნველობას“ და აგრეთვე კატეგორიულად საზოგადოებრივ თვით-მმართველობას თხოულობდა.

როდის-და უნდა აუვავებულიყო თვით-მმართველობა თუ არ ამ დროს, როცა თვით-მმართველობის იდეა ასე გავრცელებული და მოწონებული იყო? ნამდვილად-კი სულ სხვა სურათს ვხედავთ: თვით-მმართველობამ თითქმის ვერა გაიწყო-რა და არ გასულა სულ ათი წელიწადი მის შემოღების შემდეგ, რომ პრესსა უკვე ჩიოდა მის უფერულობასა და უნაყოფობას; ერობისა და საბჭოს ხმოსნებს აპატია, გულგრილობა მოედო და ხშირად საგანგებო კრებებიც კი ვერ შეუდგენიათ.

რითი აიხსნება ასეთი სამწუხარო მოვლენა? ნუ თუ საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი რუსის თანდაყოლილი, ბუნებრივი თვისებაა?

გრინგმუტს თუ ვკითხავთ, რასაკვირველია, „ჰო“-თი გვიპასუხებს ამ კითხვაზე, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ამ მოვლენისა კი სხვაგან უნდა მოინახოს.

როცა სამოციან წლებში სარეფორმო საქმეს შეუდგნენ, ადგილობრივ თვით-მმართველობის შემმუშავებელ კომისიის თავმჯდომარედ ცნობილი ნ. ა. მილიუტინი იყო. მილიუტინს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული სარეფორმო საგანი: მას კარგად ესმოდა, რომ თვით-მმართველობას, საარჩევნო პრინციპს მხოლოდ მაშინ მოჰყვებოდა სასურველი შედეგი, როცა „არჩეული პირები კანონით მოწოდებული არიან დამოუკიდებელ და სერიოზულ მოღვაწეობისათვის“. სასტიკ ცენზურისაგან განთავისუფლებული პრესსა მხარს აძლევდა კომისიას და გატაცებით მსჯელობდა შინაურ სახელმწიფო საქმეებზე. იმედი და მოლოდინი დიდი იყო. მაგრამ არ გასულა მანიფესტის გამოცხადებიდან ერთი თვე და კომისიის მეთაურად უკვე გრაფი ვალუევი იყო: მილიუტინი უცერემონიოდ მოიშორეს თავიდან და რეაქციამ ამაყად წამოჰყო თავი.

ვალუევის საქმე იყო „ბოლო მოეღო იმ აუსრულებელ იმედისა და თავისუფალ მისწრაფებათათვის, რომელმაც თავი იჩინა საერობო დაწესებულებათა შემოღების გამო“.

გრაფი ვალუევი ამბობდა, რომ აუცილებელია „შევინახოთ, დავიცვათ ბიუროკრატიის უფლებანი საზოგადოების უადგილო პრეტენზიებისაგანა“-ო, და თან რაღაც მომავლის იმედს იძლეოდა. ასეთი შეხედულება ნამდვილი გამოხატულება იყო მთელის მთავრობის მიმართულებისა, რომელსაც არ შეეძლო დაეთმო თავის უფლებანი საზოგადოებისათვის და რომელიც წვრილმანებით ჰფიქრობდა ამ საზოგადოების დაკმაყოფილებას.

ამიტომაც მოხდა, რომ შემოღებული თვით-მმართველობა ნამდვილი თვით-მმართველობა არ იყო: არჩევანს წოდებრივი ხასიათი მიეცა—ცალკე წოდებრივი საარჩევნო კრებები შემოიღეს და სხვა-და-სხვა კუთხეს ინტერესების სხვა-და-სხვანაირი წარმომადგენლობა მისცეს. რეფორმის შემომღებთა მიზანი იყო, რომ ერობას მხოლოდ წმინდა სამეურნეო საქმეები ჩაჰბარებოდა, მაგრამ აქაც მისი დამოკიდებულება შეკვეცილი იყო: წინდაწინვე აღნიშნული იყო საგნები, რომელზედაც ერობას შეეძლო გადასახადის დადება და თან ამ გადასახადის მაქსიმუმიც ნაჩვენები იყო.

თვით-მმართველობა, რომლის სფერა ასე შევიწროვებული და რეგლამენტაციას დამორჩილებულია, არ არის ნამდვილი თვით-მმართველობა და დღეს, როცა რუსეთის საზოგადოება ამოძრავებულია და უკან დაბრუნებას არ ჰფიქრობს, 1864 წლის საერობო რეფორმას არ სჯერდება და სრულ თვით-მმართველობას თხოულობს.

1890 წლის საერობო „რეფორმამ“ მოსპო თვით-მმართველობის ის ნასახიც, რომელიც ერობას ჰქონდა: ისედაც დიდი გავლენა ადმინისტრაციისა ერობაზე კიდევ უფრო გაძლიერა—ყოველი დადგენილება საერობო დაწესებულებისა საგუბერნიო მთავრობის სანქციას თხოულობს; ისე გაძლიერა თავად-აზნაურობის ელემენტი ერობაში, რომ გლეხებმა თავის წარმომადგენლობის თითქმის ნახევარი დაჰკარგეს. სოფელი-კი ამ დროის განმავლობაში ისე შეიცვალა, რომ 1864 წლის რეფორმა შემცირებას-კი არა, განვითარებას, გაფართოებას თხოულობდა: თავად-აზნაურობა სრულიად ჰკარგავს თავის ეკონომიურ ძალას, მიუხედავად მთავრობის განუწყვეტელ და მზრუნველ მფარველობისა, სამაგიეროდ სოფელში ფეხი მოიდგა „ახალმა ხალხმა“—წელში გამაგრებულმა გლეხობამ, სოფლის ბურჟუაზიამ; 1890 წლის კანონით-კი მკვდარი ან მომაკვდავი ელემენტი გაბატონებულია ცოცხალზე. სამი მეხუთედი ყველა საერობო ხმოსნებისა ირჩევა თავად-აზნაურობისაგან და ამათ საარჩევნო კრებებზე დამსწრე ამომრჩეველთა რიცხვი ასარჩევ პირებზე ნაკლებია.

რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ერობამ ვერ იხეირა.

„ჩვენც (რუსებს) გვყვანდნენ შესანიშნავი საერობო მოღვაწენი. ესენი არა თუ საქმეს შესაფერად აკეთებდნენ, ყოველმხრივ ინიციატივასაც იჩენდნენ. როცა კი მეტი სიცოცხლე იყო, როცა საზოგადოებრივ დაწესებულებათ დამოუკიდებელ მოქმედებისათვის იწვევდნენ, ერობა ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ... მიდიოდა დრო და თან მიჰყვებოდნენ ნამდვილი მოღვაწენიც. ერობა ეცემოდა, უკან-უკან მიდიოდა“...

—

ქალაქის თვით-მართველობამაც იგივე ევოლიუცია განიცადა, თუმცა დაწყებული ცოტათი სხვანაირად იყო.

რეფორმამდე ვალუევმა მიუწერა გუბერნატორებს—შეადგინეთ ქალაქებში საგანგებო კომისიები ყველა წოდებათა წარმომადგენლებისაგან (ბიუროკრატიულ ენაზე ეს ნიშნავს მხოლოდ უძრავ ქონების პატრონებს) და შეგვატყობინეთ ადგილობრივი აზრი შესახებ განზრახულ საქალაქო რეფორმისაო.

მოულოდნელი პასუხები მიიღო მთავრობამ თავის შეკითხვაზე: ქალაქს დამოუკიდებელი თვით-მმართველობა უნდა ჰქონდეს, თორემ ისე არაფერი გამოვა რეფორმისაგანაო; ქონებრივი ცენზი საჭირო არ არის—თუ საზოგადოებრივი აზრი ირჩევს კაცს, იგი ღირსეული წარმომადგენელი იქნება, მიუხედავათ ამისა, აქვს მას ცენზი თუ არა; საქალაქო დაწესებულებანი ანგარიშს უნდა აძლევდნენ და პასუხს უნდა აგებდნენ მხოლოდ არჩეულ ხმოსნის წინაშეო; პოლიციის მოხელეთ ქალაქი უნდა ირჩევდეს, თუ გინდა რომ ქალაქს შეეძლოს დამოუკიდებელი მართვა თავის-თავისაო.

რა შედეგი მოჰყვა ამ შეკითხვას საქალაქო რეფორმისათვის?

თითქმის წინააღმდეგი იმისა, რასაც ქალაქელები თხოულობდნენ; საქალაქო თვით-მმართველობა ცენზიანების ხელში იყო; ადმინისტრაციას დიდი გავლენა ჰქონდა საქალაქო საქმეებში; ბიუჯეტის უფლება ერთობ შეკვეცილი—„სავალდებულო ხარჯები“ (პოლიციაზე, მაგ.) გაადიდეს და შესაფერად მოუკლეს „არა სავალდებულოს“ (სკოლაზე, ქალაქის მოწყობაზე(.

1892 წლის დებულებამ ხომ ფიქციად გახადა მთელი თვით-მმართველობა: საარჩევნო ცენზი გაადიდა, ხმოსნების რიცხვი შეამცირა და დაუმორჩილა გუბერნატორის ზედამხედველობას ყოველი ნაბიჯი თვით-მმართველობისა.

შედეგი თვით-მმართველობის პრინციპის ასეთ შელახვისა ყველას თვალწინ აქვს: აპატია, უსაქმურობა ან ნამდვილი მოხელეობა, აი რას ვხედავთ დღეს რუსეთის მუნიციპალიტეტებში. საუკეთესო პირები გაურბიან თვით-მმართველობას და თანამდებობის პირის არჩევის დროს ამომრჩეველნი მხოლოდ იმით ხელმძღვანელობენ, დაამტკიცებს თუ არა ადმინისტრაცია არჩეულ პირს.

—

ასეთია თვით-მმართველობის ევოლიუცია და ეხლანდელი მდგომარეობა რუსეთში, მაგრამ კლეინბორტს სრული იმედი აქვს უკეთესის მომავლისა, რადგან ის „შემაფერხებელი გარემოებანი, რომელნიც სულ ხელ-ფეხს უკრავდნენ საზოგადოებას, ყველგან ძლეულან ცხოვრების ტალღებისაგან. უეჭველად ჩვენშიც (რუსეთში) დადგება დღე და ეს შეფერხება წარსულის კუთვნილება იქნება“.

სადამე, 2700 მილი 9 დღეში გაიარა, ესე იგი დღე-ღამეში საშუალოდ 300 მილი უვლია, ანუ საათში 12½ მილი; აქ ნაანგარიშებია ის დრო, რომელიც პესკადორის კუნძულებზე ხელ-მეორედ ქვა-ნახშირის დასადებად დასჭირდებოდა ესკადრას. იაპონიის ესკადრამ ინდოეთის ოკეანეშიაც რომ იმავ სისწრაფით იაროს, რა სისწრაფითაც წყნარ ოკეანეში იარა, ადმ. ტოგო მადაგასკარს ახლო 21 დეკემბერს მივა, მაგრამ იაპონელებს გზაში კიდევ მოუხდებათ ორჯელ ქვა-ნახშირის დადება (ალბად, კუნძულ სუმატრის ჩრდილოეთ-დასავლეთ ბოლოში და მეორედ, დიეგო-მარსის ბუხტაში, ჩაგასის კუნძულებზე, 1,300 მილის მანძილზე დიეგო-სუარეციდან), ამიტომ მადაგასკართან 25 დეკემბერზე ადრე ვერ მივლენ. იაპონიის ესკადრის სიარულის სისწრაფე ამინდზეც იქნება დამოკიდებული; ინდოეთის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ზამთარში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ჰქრის ქარი, ასე რომ ეს ქარი ხელს შეუწყობს იაპონიის ფლოტს მადაგასკარის გზაზე, ადმ. როჟესტვენსკის-კი ქარის წინააღმდეგ მოუხდება სიარული. ადმ. როჟესტვენსკის რაზმმა 4 დეკემბერს კეთილ იმედის კონცხთან გაიარა და სამს კვირაში (სანამ ადმ. ტოგო მივა) კიდევ 2,580 მილის გავლა შეუძლიან. მაშასადამე ადმ. როჟესტვენსკი ადმ. ტოგოზე ადრე მივა მადაგასკართან და ადმ. ფელკერზამს დიეგო-სუარეცის გზაზე არაფერი საფრთხე არ ემუქრის. აქედან სჩანს, რომ თუ რუსის ესკადრის რაზმები რიგზე ივლიან, ადმ. ტოგო შეერთებას ვერ დაუშლის ადმ. როჟესტვენსკის და კონტრ. ადმ. ფელკერზამს. მით მაინც ინდოეთის ოკეანეში წასვლით, ადმ. ტოგო დიდ სტრატეგიულ უპირატესობას მოიპოვებს, კუნძულ მადაგასკართან რომ სწრაფად მივიდეს, ადმ. ტოგო წყნარ ოკეანის ახალ მესამე ესკადრას შეერთებას დაუშლის ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასთან. იაპონელები რომ დიდ ოკეანეში დარჩნენ, ადმ. როჟესტვენსკის ფლოტი თანდათან გაძლიერდება და ბოლოს ადმ. ტოგოს დაეცემა. თუ იაპონიის ფლოტი ინდოეთის ოკეანეში გაჩნდება, სამხედრო მოქმედების ინიციატივა (თაოსნობა) ისევ ადმ. ტოგოს ხელში გადავა; იაპონელები მაშინ საცა უნდათ და საცა უჯობთ, იქ დაეცემიან რუსის ფლოტს. ადმ. როჟესტვენსკი თავის დიდ უპირატესობას—დაცემის ინიციატივას—დაჰკარგავს და ისევ მტრის მოგერებასა და თავის თავის დაცვას უნდა დასჯერდეს. მაგრამ ადმ. როჟესტვენსკის მდგომარეობა მაინც უიმედოდ არ ჩაითვლება. ოკეანის სივრცეში ბევრი რამ შემთხვევასა და ადმირალის მხნეობასა და მამაცობაზეა დამოკიდებული. ოკეანეში ფლოტის პოვნა მეტად ძნელია, ხანდახან პირდაპირ შეუძლებელიცაა. გაჭირვების დროს რუსის ესკადრას შეუძლიან მეწამულ ზღვისაკენ დაიხიოს მაშველ ესკადრასთან შესაერთებლად, ან ბრძოლას მოერიდოს, ავსტრალიის ნაპირებისაკენ გაემართოს და იქიდან იაპონიის გარშემო ვლადივოსტოკისაკენ წავიდეს“.

„ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი „უსინათლო მეზღვაური“ ჰფიქრობს, რომ ადმ. ტოგო დიდ ოკეანეში მოუცდის ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასაო, სინგაპურისაკენ მხოლოდ მზვერავ რაზმს გაჰგზავნის, რომ რუსის ესკადრას თვალ-ყური ადევნოს და ქვა-ნახშირის შოვნა და დამზადება გაუძნელოსო. თითონ ადმ. ტოგო კი თავის უმთავრესს ესკადრით ან ზონდის არხიპელაგთან მოიცდის, ან კუნძულ ფორმოზასთან და როცა ადმ. როჟესტვენკის ესკადრა, ხანგრძლივის მგზავრობისაგან დაღალული და დასუსტებული, მივა წყნარ ოკეანეში, იაპონელები უცებ დაეცემიანო. ადმ. ტოგო მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა დიდ ოკეანეში, თუ ადმ. როჟესტვენსკი დიდხანს გაჩერდება მადაგასკართან და მესამე ესკადრის მოსვლას მოუცდისო. მაშინ-კი, შეიძლება, ადმ. ტოგომ ინდოეთის ოკეანე გაიაროს და ადმ. როჟესტვენსკის დაეცესო.

უკანასკნელ დეპეშებიდან სჩანს, რომ ადმ. ტოგოს ფლოტის უმთავრესი ნაწილი თითქო ჯერ იაპონიის ზღვაში უნდა იყოს; თითონ ადმ. ტოგო და ადმ. კამიმურა ტოკიოში მისვლას აპირობენო. მაგრამ ეხლა მაინც მალე გავიგებთ, როგორ მოიქცევა ადმ. ტოგო, წავა ინდოეთის ოკეანეში, თუ წყნარ ოკეანეში მოუცდის რუსის ფლოტსა.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ინგლისი. ლონდონის ტრაფალგარ სკვერში ამას წინად მრავალმა უსაქმოდ დარჩენილმა მუშამ მოიყარა თავი. 3 ათას კაცზე მეტი დაესწრო კრებას, რომელსაც პარლამენტის არც ერთი წევრი არ დასწრებია. კრებამ დაადგინა, მიმართოს მთავრობის ყურადღება ულუკმა-პუროდ დარჩენილ მუშების ბედ-იღბალს და ამისთვის პარლამენტის განსაკუთრებული სესსია მოიწვიოს. ზოგიერთი ორატორები ურჩევდნენ დამსწრე მუშებს მოეხდინათ დემონსტრაციები ლონდონის მდიდარ უბნებში. ერთმა მუშამ გამოაცხადა, თუ პარლამენტის მომავალ სესსის გახსნის დროს სეფესიტყვაში მოხსენებული არ იქნება საკითხი უსაქმოდ დარჩენილ მუშების შესახებ, მუშებმა უეჭველად უნდა მოახდინონ დემონსტრაციები ვესტ-ენდშიო. ამგვარი დემონსტრაციები ჩვეულებად აქვთ მიღებული ინგლისის მუშებს. მრავლად თავ-მოყრილი ხალხი, ღარიბად ჩაცმული, დამშეული მუშები მდიდრების სასახლეების წინ მიდიან; სინიდისის ხორც-შესხმულ მხილებად წარმოუდგებიან თვალწინ განცხრომის ძეთ. ინგლისის სახელ-განთქმულმა მწერალმა კარლეილმა სთქვა ერთ თავის ფილოსოფიურ წერილში: ბევრჯერ მიტეხია თავი და ვერ მომხვდარვარ, რა თვალთმაქცური მძლავრი მანქანაა ინგლისის მდიდარ ჯენტლმენის ხელშიო: როცა იგი თავის ოქროთი მოვარაყებულ მშვენიერ სარკის წინ ჰალსტუხში ბრილიანტის ქინძისთავს ირჭობს და საარშიყოდ გასაფრენად ემზადება, ამ დროს ეზოდან ღარიბ ქვრივს შემოაქვს ამ ჯენტლმენის სასახლეში თავისი საცოდავ შემოსავლის ნახევარიო.

მუშებმა კარგად იციან, რაში მდგომარეობს ეს სისტემა და დრო-გამოშვებით პროცესსიებს მართავენ მდიდრების უბნებში და ცხადად აჩვენებენ მდიდრებს, რომ მათი საუნჯე მუშების სიღატაკეზე, მათი ბრწყინვალება მუშების უფერულობაზე და მათი სიმსუქნე მუშების სიგამხდრეზეა აშენებული („ნ. ჟ.“).

შეერთებული შტატები. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ ამერიკიდან, რომ ხალხის ინტერესების დამცველი დემოკრატები კონგრესზე მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებას აპირობენ. პროტესტი ეხება მთავრობის განზრახვას, გადიდოს ფლოტის საჭიროებისათვის 113 მილიონი დოლარი, ე. ი.—226 მილიონი მანეთი. ხალხის მომხრენი იმ ნიადაგზე დგანან, რომ სახელმწიფო სამხედრო ხარჯი მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს და ყოველ წელს დეფიციტი იზრდებაო.

შეერთებულ შტატებში გადმოსახლებულთა საქმეების გამგე კომისსარმა გამოაქვეყნა შემდეგი საინტერესო ცნობები: 1903 წლის 1 ივლისიდან 1904 წ. 1 ივნისამდე ამერიკაში გადასახლებულა სხვა-და-სხვა ქვეყნებიდან 812 ათასი კაცი. ამათ შორის უდიდესი ნაწილი—ავსტრო-უნგრეთიდან, იტალიიდან და რუსეთიდან გადმოსახლებულნი არიან. რუსეთიდან გადმოსახლებულთა უმეტესი რიცხვი ებრაელებია (78 ათასი კაცი), რომელნიც მეტად შევიწროებულმა მდგომარეობამ აიძულა დაეტოვებინათ თავისი სამშობლო. („ნოვ.“).

პარიზი. მთავრობის წინადადებით პალატამ უყურადღებოდ დასტოვა საკითხი ნაციონალისტის დერულედის დაბრუნების შესახებ. დერულედმა პრეზიდენტის ფელიქს ფორის შემდეგ რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოილაშქრა და ამიტომ განდევნილ იქნა. ამ ჟამად საფრანგეთის საზოგადოების გონიერი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ძლიერ ხალხს არ უნდა ეშინოდეს დერულედისთანა ფუქსავატ მქადაგებლებისაო. დერულედმა და იმისმა ამქარმა კარგა ხანია ნათლად დაანახვეს ხალხს თავის მისწრაფებათა ნამდვილ-ეგოისტური სარჩული და მათი ავტორიტეტი ამ ჟამად ერთობ ძირ-თხელიაო. („რ.“).

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 16 დეკემბერს, **ბაქოს გაზეთები** არ მიგვიღია.

◆ როგორც გადმოგვცეს, შემდგარა **ქართველ ექიმთა წრე**, რომელსაც განუზრახავს სამკურნალო შინაარსის წიგნების შედგენა, გამოცემა და ხალხში გავრცელება.

◆ **ყარსის შტოს** მთელ ლიანდაგზე, როგორც გვატყობინებენ, 14 დეკემბრიდან დღემდის საშინელი ქარბუქია. ზოგიერთ ადგილას ლიანდაგი სულ ამოავსო თოვლმა. ყინვა ხუთ გრადუსამდეა.

◆ კავკასიის სავეთილო გამგეობამ აცნობა გუბერნატორს, რომ ის თანხა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადადებულია **საქონლის ჭირთან საბრძოლველად**, ამ ჟამად გუბერნიებზეა განაწილებული და ახალ თანხის გამოთხოვაა საჭირო დამატებით ხარჯისათვისაო. გამგეობა სთხოვს საგუბერნიო სავეთილო ინსპექტორს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინოს ცნობები საქონლის ჭირის შესახებ ტფილისის გუბერნიაში და ხარჯთ-აღრიცხვა იმ თანხისა, რომელიც დახოცილ საქონელში უნდა მიეცეს დაზარალებულ გლეხკაცობას.

◆ **ბათუმური გაზეთი** სწერს: მრავალმა ქურდობამ და ძარცვა-გლეჯამ, რომელიც ამ ორი კვირის განმავლობაში ბათუმში მოხდა, აიძულა ადმინისტრაცია სასტიკი ზომები მიეღო ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად. ბოროტ-მოქმედთა ნაწილი უკვე შეიპყრეს, დანარჩენთა დასაჭერადაც საჭირო ზომებია ნახმარი. როგორც გამოირკვა, ბოროტ-მოქმედნი თითქმის ყველანი სხვა ადგილებიდან არიან მოსულნი. ბათუმის პოლიცმეისტერის პოდპოლ. ჩიქოვანის ბრძანებით, პოლიციელნი ყოველ დღე დადიან და ათვალიერებენ ქალაქს, განსაკუთრებით განაპირა უბნებს.

◆ იანვრის პირველ რიცხვებისათვის **დანიშნულია არჩევნები** ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა. ამ დღეებში მოქალაქეთა გამგეობამ სთხოვა ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს ნება მისცეს, რწმუნებულთა არჩევნები მოახდინოს არა უბნ-უბნად რამდენსამე კრებაზედ, როგორც აქამდე იყო, არამედ საერთო კრებაზედ. გამგეობა სთხოვს აგრეთვე საკრებულოს სახელმძღვანელოდ ინსტრუქციას არჩევნების მოსახდენად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 16 დეკემბერს განაგრძო განხილვა 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. სხვათა შორის, გამგეობამ დაადგინა, შეიტანოს აღრიცხვაში 12,000 მან. ქალაქის თვით-მმართველობის **მოხელეთა დამატებით ჯამაგირებისათვის.**

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა პოლიცმეისტერს დიდუბეში **პოლიციის მოხელეთა შტატის გაძლიერების** შესახებ, რადგან იქ ხშირია ქურდბაცაცობა და თავ-დაცემა. პოლიცმეისტერმა ყოველ წლიურად 900 მანეთის გადადება მოითხოვა.

◆ საგეოგრაფო საზოგადოების წევრი ე. კ. ლიოზენი ამ დღეებში გაემგზავრა ბათუმის ოლქში ამ კუთხის **ეთნოგრაფიულად გამოსაკვლევად.**

◆ ზოგ ადგილებში **ხოლერა შესუსტდა.** ჯებრაილის მაზრაში, მაგალითად, 3-დან 9 დეკემბრამდე ავად არავინ გამხდარა. ზანგეზურის მაზრაში 5 დეკემბრიდან ავად გახდა და მოკვდა სამი კაცი. კარაბურუნში 10 დეკემბერს ერთი კაცი გახდა ავად. აჯიკაბულშიაც 11 დეკემბერს ერთი გახდა ავად.

◆ **სად. ატბულახი.** 14 დეკემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე, როდესაც საქონლის მატარებელი სადგურზე იდგა, იმავე ლიანდაგზე მიიღეს მეორე მატარებელი. მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა და ორი ვაგონი და ორთქლმავალი დაიმსხვრა.

◆ ღორის ხორცით **მოვაჭრე ყასპებმა** საერთო თხოვნა შეიტანეს გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობაში. ყასპები ამბობენ, ღორის ფასმა აიწია და ამიტომ ხორცის ნიხრს მოუმატეთო.

◆ ტფილისში არსდება აქ მცხოვრებ სპარსეთის **ღარიბ ქვეშევრდომთა დამხმარებელი საზოგადოება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ 3 დეკემბერს დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა გუშინ სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, 1905 წლისათვის სასწავლებლის შესანახი ხარჯები შეამციროს და ამით უკანასკნელ ორის წლის დეფიციტი დაფაროს.

◆ გუშინ, 16 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა აცნობა ტფ. გუბ. სახელმწიფო ქონების გამგეს, რომ სომხ-გრიგორიანთა ქონებაზე წასული წლებისა დარჩენილია სახელმწიფო და საერობო გადასახადების ნედოიმკა 1260 მანეთიო.

◆ ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების ბიბლიოთეკა და გამგეობის სადგომი გადატანილ იქნა ცერკოვნი ქუჩაზედ, № 22-ში.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სასანიტარო კომისიამ დაადგინა, ტფილისის საქონლის სადგურზედ მოსპოს ცხენებისთვის წყლის სასმელი ადგილი, რადგან ძლიერ აჭუჭყიანებს იქაურობას.

◆ ამ სამი დღის წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე აქაურ მცხოვრების ეკატერინე ოსიპოვისა, რომელსაც მე-4 ნაწილის სასამართლოს ბოქაულის შიუკაშვილისათვის სიტყვითა და საქმით შეურაცხყოფის მიყენება ჰბრალდებოდა. ოსიპოვისა სახლიდან დაუთხოვნიათ, მაგრამ იგი თავის ნებით არ გადასულა. როცა ბოქაული კარებზე მისდგომია და მოუთხოვნია გადასვლა, ოსიპოვისას ბოქაულისათვის ხელი უკრავს და უთქვამს, თქვენ სახლის პატრონისაგან 50 მან. ქრთამი აიღეთ და ამიტომ მატანთ აგრე ძალასაო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ოსიპოვისა და 20 დღით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ ავჭალაში, 16 დეკემბერს, ღამე, შემდეგი მოხდა: ასე 11 საათი იქნებოდა, სამი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ავჭალაში მცხოვრებ მემამულის მადერის სახლს, გამოამტვრიეს ფანჯრები და ის იყო სახლში უნდა შესულიყვნენ, რომ ხმაურობაზე გამოეღვიძა დარაჯს ხეჩატუროვს. ქურდებმა დასჭრეს ხეჩატუროვი. ყვირილზე და ხმაურობაზე მეზობლებიც მისულან, რის გამო ქურდები გაქცეულან.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში მეეზოვემ ბერიანიძემ დააპატიმრა 15 დეკემბერს სპარსეთის ქვეშევრდომი მანუკ მურადოვი, რომელსაც სოფიო ჩხეიძის სახლიდან დიდი სპილენძის ქვაბი მოეპარა და მიჰქონდა. ქურდს ქვაბი წაართვეს და გადასცეს პატრონს, ხოლო თითონ პასუხის-გებაში იქნება მიცემული.

◆ სად. მარტოთუბანი. 16 დეკემბერს, დილის 2 საათზე, როდესაც ტორმოზიდან ჩამოდიოდა, საქონლის მატარებლის ქვეშ ჩავარდა, კონდუქტორი ნებერიძე. თვლებმა მარცხენა ხელის ორის თითი დაუშავეს.

◆ 16 დეკემბერს მირზოევის აბანოში ბანაობის დროს უეცრად გარდიცვალა ტფილისის მცხოვრები კარაპეტ მიტინოვი. გარდაცვალებული მიხეილის სამკურნალოში წაიღეს.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში ტფილისის ვაჭარს დოროთეოზ კოვტუნენკოსთვის 13 დეკემბერს მოუპარავთ საზამთრო პალტო. პალტოში ჰქონია 1000 მან. თამასუქი.

◆ 15 დეკემბერს პოლიციის მე-4 ნაწილში თამარის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, უეცრად გადაიცვალა ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელე მიხეილ ხარბოლაძე. როგორც გამოძიებით გამოირკვა, ხარბოლაძეს წინა დღით, 14 დეკემბერს, შუა ბაზარში ერთის სოფლელისაგან რაღაც სოკოები უყიდნია და უჭამია. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ სამოსწავლო ოლქის ინსპექტორმა სლოვინსკიმ დაათვალიერა ქალაქის ახალი პირველ დაწყებითი სასწავლებლები, გამოსცადა ბავშვები სხვა-და-სხვა საგნებში და კმაყოფილი დარჩა. ქუთაისიდან ინსპექტორი ხონს წავიდა.

◆ სამოსწავლო უწყებამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ იგი დაეხმარება ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებლებს ყოველ წლიურად 2000 მანეთით, თუ ამ სასწავლებლებში მოწაფეები განთავისუფლებულნი იქმნებიან სრულიად სწავლის ფულისაგან. ამის პასუხად ქალაქის გამგეობამ შეუთვალა, ქალაქს მხოლოდ მაშინ შეუძლიან მოწაფეების განთავისუფლება სწავლის ფულისაგან, თუ მთავრობა ყოველ წლიურად 3,000 მანეთს შეეწევაო.

◆ 11 დეკემბერს ქალაქის კლუბის დარბაზში სათავად-აზნაურო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარის ქ-ნა ე. გ. წულუკიძის თაოსნობით გაიმართა სამუსიკო-სალიტერატურო და საცეკვაო საღამო. როგორც გავიგეთ, საღამოს ძლიერ კარგად ჩაუვლია, საზოგადოება ბლომად დასწრებია და შემოსავალიც კარგი ყოფილა (წმინდა შემოსავალი 500 მანეთზე მეტი დარჩენილა).

◆ ამ დღეებში მომიხდა ჯაიანის ქუჩაზე გავლა, სადაც მოთავსებულია სათავად-აზნაურო სასწავლებლის შენობა. ეს ქუჩა იმდენად გაფუჭებულია, რომ ზედ გავლა გასაჭირია როგორც ეტლით, ისე ფეხით. ეზოების მთელი წყალი მოდის შუა ქუჩაზე, რომელიც მთის ნაკადულს უფრო წააგავს, ვიდრე საგუბერნიო ქალაქის ქუჩას. აქეთ-იქით ნაპირებზე ქუჩას არა აქვს არც თხრილები, არც საცალფეხო ქვა-ფენილები. სწორედ შეგებრალებათ, დილით ამ ქუჩაზე მიმავალი მოწაფეები რომ დაინახოთ, რომელნიც კოჭებამდის წყალსი და ტალახში ეფლობიან. ეს მოწაფეები რომ ჭუჭყა-ქუჭყით კლასებში შედიან, წუღებით აყარებელი ტალახი შეაქვთ, რომელსაც მალე მტვრად აქცევენ და ჰაერთან ერთად ჰყლაპავენ. ეს ხდება მხოლოდ წვიმის დროს, თოვლსა და ყინვებში კი ამ ქუჩაზე გავლა შეუძლებელია ისე, რომ არ დაეცეთ და რამე არ დაიშავოთ. საჭიროა, ამ გარემოებას ეხლავე ყურადღება მიაქციოს როგორც ქალაქის გამგეობამ, ისე სასწავლებლის ინსპექტორმა და ზომები მიიღო ქუჩის შესაკეთებლად, თორემ თუ ყინვები დაიჭირა, შეუძლებელია, იქ რამე უბედურება არ დატრიალდეს. საკვირველი-კია, რომ სახლის პატრონნი თავის ნებით არ აკეთებენ ქუჩას, მით უმეტეს, რომ აქ საკმაოდ შეძლებული ხალხია, რომელთაც ასე პატარა ქუჩის გაკეთება არ გაუძნელდებათ.

◆ ქალაქის წიგნთ-საცავ-სამკითხველოში მოსიარულეთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა, ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც ახალმა სიომ დაჰბერა და გაზაფხულის მოიმედე პრესსამ უფრო თავისუფლად ამოისუნთქა. წინად თუ თითო მკითხველს სამ-სამი გაზეთი მოსდიოდა, ეხლა თითო გაზეთს სამ-სამი მკითხველი დაბლაუჭებია; წინად თუ თითო კაცს თუნდ სამს სკამზე შეეძლო ჯდომა, ეხლა ხშირად სამს კაცს თითო სკამი ხვდება. სამკითხველოში ორის სტოლის გარშემოც ვერ თავსდებიან მკითხველები. საჭიროა შეიძინოს [illegible] სამკითხველოსათვის ერთი ახალი სტოლი, ერთი დუჟინი სკამი და გამოიწეროს ზოგიერთი გაზეთი ორ-ორი ცალი, თუ სხვა არა, ქართული გაზეთები მაინც, რომ მკითხველების მოთხოვნილება ცოტათი მაინც დაეკმაყოფილოთ.

◆ კვირას, 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში მოხდება ხსენებულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც დანიშნული იყო 5 დეკემბრისათვის, მაგრამ, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა. გავახსენებთ საზოგადოებას, რომ ეს კრება, როგორც ერთხელ უკვე გადადებული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

◆ სახალხო წარმოდგენების მმართველი კომისია ამზადებს წარმოსადგენად პროტოპოპოვის პიესას „ცხოვრების გარეშე“-ს.

◆ ქუთაისის ხიდების შემოსავალი საჯარო ვაჭრობით იჯარით აიღო ორის წლის ვადით (მომავალი წლის პირველი იანვრიდან) ბერძენმა დ. ჩიჩინკაროვმა, წლიურად 18,690 მანეთად.

პრესსა

რუსის მწერლებმა ისიც იყო ფრთა შეისხეს, მაგრამ ისევ ცივმა ქარმა დაჰბერა და აი რას სწერს სერგეი იაბლონოვსკი „რუსკოე სლოვო“-ში:

> ისევ წვრილმანებს უნდა დავუბრუნდეთ. სირცხვილი და შეურაცხყოფაა, მაგრამ ისევ წვრილმანებზე ვილაპარაკოთ. ასეა ხოლმე ყოველთვის: დამდაბლებულ სულიერ განწყობილებას ამაღლებული მოსდევს და ამაღლებულს დამდაბლებული.
>
> ეგრეა ქვეყნიერებაზედ.
>
> ერთბაშად ყოყოჩად დავიწყე სიარული. თვალებში სინათლე მომეტა, თავი მაღლა ავწიე—მხრებში აღარ ძვრებოდა და მეც სულით ავყვავდი. ისეთ სულიერ-მხიარულ გუნებაზე ვიყავი, რომ ტრიალ მინდორზე და ხვევნა-კოცნაც. ნაცნობებს უკვირდათ: სრულიად ჟურნალისტს აღარ ჰგვახართო.
>
> მეც ამასვე ვგრძნობდი. მართლაც, სად რუსი ჟურნალისტი და სად ღია, მხიარული სახე? მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდებოდა!
>
> ჩვენ სულ სხვა სტილსა ვართ მიჩვეული. ხომ გახსოვთ ლექსის სიტყვები—
>
> „შემომხედეთ და დასტკბით: მელოტი ვარ, ფერმკრთალი, ნერვებ-აშლილი, ძლივს ვსუნთქავ, და ყველა ეგეთები ვართ“.
>
> მე-კი ვბრწყინავდი და სხვებსაც შუქი ჰქონდა მიფენილი. ეხლა-კი ეს არა-ბუნებრივი მოვლენანი გაჰქრა: კატას ხომ მუდამ ყველიერი არ ექნება. ვიბრწყინეთ და ეხლა უნდა დავიხვენოთ. ვიფრინეთ სურვილებისა და იმედების სფეროში და დღეს მიწაზე უნდა ჩამოვიდეთ და წვრილმანებზე ვიზრუნოთ.
>
> გამოტეხით ვიტყვი, მიჭირდა იმ სფეროდან გამოსვლა და წვრილმანების ხელის მოკიდება. ხელი არ მემორჩილებოდა. მიხვალ საწერ სტოლთან, კალამს წინ დაიდებ და კალამს მელანში ამოუწებ, მაგრამ ერთბაშად შეკრთები—
>
> წინადაც, ამ სამი თვის წინად, ხომ წვრილმანებზე სწერდი. მაგრამ მაშინ ეგრე მწვავედ არ გრძნობდი—მემკვიდრეობით გვქონდა შესისხლხორცებული და თუმცა ვიტანჯებოდით, მაგრამ ტანჯვა ქრონიული იყო. ეხლა-კი ეს ტანჯვა ასე მწვავეა და თან გვრცხვენია.
>
> გრძნობ, რომ გუშინ სწერდი და დღეს-კი სჯდები.

ადგილობრივი პრესსა გუშინაც სჯდებოდა და დღესაც—მას არავითარი ცვლილება არ უგრძვნია.

* *

ბატონი ბრიანჩანინოვი გაზეთ „რუს“-ში მსჯელობს იმაზედ, თუ რა არის დღეს საჭირო რუსეთისათვის „ნამდვილი ღონისძიება“ თუ „ნახევარი ღონისძიება“.

რომ ცვლილება არის საჭირო, ამას თვითონ ბიუროკრატებიც კარგად გრძნობენ, მაგრამ ცვლილებაც არის და ცვლილებაც. ამათი სურვილია—

> გამონახონ ისეთი ღონისძიება, რომ თვალებში აღარ გვეჩხირებოდეს არსებულ რეჟიმის ნაკლულევანებანი, მაგრამ ისე კი, რომ არ შეიცვალოს არსებითი მხარე რეჟიმისა, რომელიც ფაქტიურ ბატონობას მათ ხელში სტოვებს. მთავარი ნაკლი ეხლანდელ მდგომარეობისა, რომელიც ყველას თვალებში ეჩხირება, ის არის, რომ ცენტრის ბიუროკრატიულმა ორგანოებმა არ იციან განუზომელი იმპერიის მცხოვრებთა მოთხოვნილებანი.

მერე როგორ-ღა სცნონ ბიუროკრატებს შეიტყონ ეს მოთხოვნილებანი? ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენელთა გამოკითხვით, მაგრამ ეს პირები

> არ უნდა გამოვიდნენ ხელქვეითობისაგან და არ უნდა შეეძლოთ მათ არც მოთოდება და არც ხელმძღვანელობა ღონისძიებათა თანახმად ცხოვრების საჭიროებისა.

სულ სხვა გვარად უცქერიან საქმეს პრაქტიკულ ცხოვრების წარმომადგენელნი. ესენი ხედავენ და გრძნობენ, რომ

> დაუყოვნებლივ უნდა შემოიღონ საერთო ხასიათის რეფორმა; ისინი გრძნობენ, რომ ხალხის ცხოვრების ძველი საძირკველი შერყეულია და რომ ეროვნულ-სოციალურ ორგანიზმის მთელ

> შენობას დიდი საფრთხე მოელის, თუ ეხლავე არ იქნება მიღებული რადიკალური ღონისძიება...

ბიუროკრატების მიერ წარმოდგენილ მალამოსი ამათ არ სჯერათ—იარა მხოლოდ დაიფარება და კიდევ უფრო გაანადგურებს სხეულსაო.

გარდა ამ ორ ჯგუფისა არის კიდევ მესამეც, რომელიც

> დღეობით კი არა, საათობით იზრდება. ამ ჯგუფის ძალა დამყარებულია ენერგიასა, მამაცობასა და თავდადებაზე. თანახმად თავის შემადგენელ ნაწილებისა ამ ჯგუფს პოლიტიკურ რეფორმასთან სოციალურიც სურს... ამ ხალხის ფსიხოლოგია ხშირად უახლოვდება ფანატიკოსებისას, რომელთაც თავიანთი რწმენა უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ; მაგრამ ყოველი რწმენა, მიუხედავად თავის შინაარსისა, ერთობ დიდი ძალაა, განსაკუთრებით იქ, სადაც განათლებას ჯერ არ შეუმუშავებია ნიჭი საკუთარ იდეალების კრიტიკულად განხილვისა, სადაც ამ იდეალებზე ვერ ლაპარაკობენ...

სამივე ჯგუფი ბუნებრივი შედეგია რუსეთის ისტორიულ ცხოვრებისა და თანამედროვე პირობებისა, და რადგან მათი შეხედულებანი შეურიგებელნი არიან,

> ამიტომ ერთ-ერთ ჯგუფზე დამყარება სამართლიანობა ვერ იქნებოდა დანარჩენ ორის შესახებ...

ბრიანჩანინოვის აზრით, ერთად-ერთი გზა, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს, ისტორიული არის: ძველად, როცა მთავრობა ცხოვრებას ჩამორჩებოდა ან სახელმწიფო სხვა რაიმე მიზეზის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, მეფე ქვეშევრდომთ მოიწვევდა სათათბიროდაო. ნახევარი ღონისძიება, ბიუროკრატების მიერ წარმოდგენილი საქმეს ვერ უშველის, აუცილებელია მთელი, სრული ღონისძიებაო.

თეატრი

ქართული დრამა („ყაჩაღები", ტრაგ. შილერისა. 15 დეკემბერი). „ყაჩაღები" წარმოადგინეს ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, რომელიც, როგორც ყოველთვის, ფრანც მოორის როლს ასრულებდა. პიესამ საზოგადოდ სუსტად ჩაიარა. კარგად შეასრულა თავისი როლი მხოლოდ სამმა არტისტმა: ვლ. ალექსი-მესხიშვილმა, გედევანოვმა და შათირიშვილმა. არა უშავდა-რა ბ-ნ სვიმონიძესაც, მხოლოდ ჩვეულებისამებრ ამბობდა იმას, რაც ენაზედ მოადგებოდა. ქ-ნმა ლეჟავამ სრულიად ვერ შესძლო ამალიას სულის კვეთების გადმოცემა. ამ საღამოს გძელ კაბის თრევა და სცენაზე სიარულიც-კი არ ეხერხებოდა. ძალიან სუსტები იყვნენ აგრეთვე შპიგელბერგისა და დანიელის როლის ამსრულებელნი ბ-ნნი მეტრეველი და წუწუნავა, განსაკუთრებით-კი ეს უკანასკნელი.

უკეთესი ამბავი არც პარტერში იყო: მოქმედების დროს დაუსრულებელმა ხმაურობამ, ბრახუნმა და ურ-ზაურმა ყურთა-სმენა წაიღო. არა წარმოდგენაზე არ შეიძლება ის უწესობა, რაც ქართულზე ხდება: არ დაგაცლიან, რომ გულდასმით ყური დაუგდო პიესას, ზოგი ხმა მაღლა ლაპარაკობს, ზოგი იცინის, ზოგი მიდი-მოდის, ზოგი კიდევ შუა მოქმედების დროს შემოდის. ადმინისტრაციამ იმას მაინც უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ იაფ-ფასიან ადგილების პატრონნი პარტერის მესამე და მეოთხე რიგში არ გამოიჭიმნენ ხოლმე. ისე ვერ შივა კაცი თავის ადგილზე, რომ სხვა ვინმე არ იჯდეს.

ეს საღამო მაინც რაღაც უბედური გამოდგა: უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც ფრანც მოორი თავს იხრჩობს, ბ-ნ მესხიშვილს თოკი გაუწყდა და ატაკზე დაეცა. როგორც გადმოგვცეს, პატივცემულ არტისტს ხელი უღრძვია. გუშინ მესხიშვილი საავადმყოფოში დააწვინეს.

—

მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 17 დეკემბერს, ვეტცელის თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება კარეევის სამ მოქმედებიანი დრამა „უბედური ნაბიჯი", რომელშიაც საუცხოვოდ ასრულებს ვარვარა პეტროვნას ქალის როლს ქ-ნი ნ. ჩხეიძე. დასასრულ წარმოდგენილი იქნება ვოდევილი „თავის ბრალია". წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებენ, ნ. ჩხეიძის გარდა, ქ-ნი ოლ. ლეჟავა, ბ-ნნი გუნია, ქორიძე და სხვანი.

—

ქუთაისი. 12 დეკემბერს ქუთაისურმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ქართულ სცენისთვის ახალი პიესა „კაი გრაკხი", ხუთმოქმედებიანი დრამა მონტისა, ი. მაჭავარიანის თარგმანი. თუმცა შინაარსით პიესა რომის ისტორიის დროიდან არის აღებული, პიესას ისტორიულის გარდა თანამედროვე მნიშვნელობაც აქვს, რადგან ეგრედ წოდებულ საგრარიო საგანს ეხება. ვინ არ იცნობს სამაგალითო დედას კორნელიას, სახელოვან სციპიო აფრიკელის დას, და იმის შვილებს ტიბერიუსსა და კაიუს გრაკხებს, ამ პატიოსან მამულიშვილთ, რომელთაც სამშობლოს სამსახურს შეალიეს თავი! გრაკხები შთამომავლობით პლებეები იყვნენ, მაგრამ გარემოებამ წინ წასწია და მოწინავე წოდების არისტოკრატიას—პატრიციებს—ამოუყენა გვერდში. გრაკხები მაინც თავის თანამოძმეთ, პლებეებს, არ ივიწყებდნენ და მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ ამ ბედისაგან დაჩაგრული წოდების მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. ისინი წინააღუდგნენ განებივრებულ პატრიციებს და სხვა-და-სხვა კანონის გამოცემით მოითხოვეს პლებეებისა და პატრიციების უფლებათა გათანასწორება. თუმცა მებრძოლთ განზრახვას სავსებით ვერ მიაღწევს, მაგრამ დიდი ნაბიჯი კი წარსდგეს წინ და პლებეების მდგომარეობა შესამჩნევად გააუმჯობესეს. ამით გრაკხებმა გადიმტერეს პატრიციები და მათთან ბრძოლაში პატიოსნად დალიეს სული. ხსენებულს პიესაში დახატულია მხოლოდ უმცროსის ძმის კაიუსის ბრძოლა სენატთან და პატრიციებთან. იგი ებრძვის მოწინააღმდეგეთ არა ხმლითა და მახვილით, არა ფიზიკურის ძალით, არამედ მართალის, ცოცხალის სიტყვით. მახვილი მას სჭირდება მხოლოდ თავის გულის გასაგმირავად, როდესაც დაინახავს, რომ უსამართლობამ სიმართლეს სძლია. იგი უმჯობესად სცნობს თავის ხელით მოისპოს სიცოცხლე, ვიდრე მტრის მახვილს მოასპობინოს. ამ აზრით მას დედაც სიამოვნებით აწვდის ხანჯალს.

პიესის შინაარსი ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, რაც არა ერთხელ აღნიშნულ იქმნა ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით. რაც შეეხება თამაშს, ამ მხრივ წარმოდგენას ძლიერ ცოტა ტაში და ვაშა ხვდა. მხოლოდ ბ-ნი გამყრელიძე — მარკ ფულვი — და ვ. მესხიშვილი —კაი გრაკხი—თამაშობდნენ რიგიანად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა მესხიშვილმა როლი ნაკლებად იცოდა. გვარიანი ლიცინია—გრაკხის ცოლი—იყო ქ-ნი რონელიც; ქ-ნმა ივანიძემ მეტად მკრთალად დაგვიხატა პატივის მოყვარე რომაელ დედის კორნელიას სურათი: იმისი თამაში რაღაც ცივი იყო, მაყურებლის გულს ვერ ათბობდა და ვერ იწვევდა თანაგრძნობას; გარეგნობითაც ვერა ჰგავდა სახელოვანს რომაელ მატრონას. რაც შეეხება კონსულს ლიუციუს ოპიმიუსს, სენატორებს, ტრიბუნებსა და სხვებს, ესენი უფრო ხელს უშლიდნენ თამაშობას; როლები ხეირიანად არ იცოდნენ, სცენაზე თავს უხერხულადა ჰგრძნობდნენ; ვერც ადგომას ახერხებდნენ, ვერც დაჯდომას; რაღაც შესაბრალისი გამომეტყველება ჰქონდათ; მათი გახუნებული ტანისამოსიც ხომ დიდებულ სენატორებს კი არა, პლებეებსა და პროლეტარებს თუ მოგაგონებდათ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საზოგადოებამ მეოთხე მოქმედებაში სტვენითა და „ძირს, ძირს"-ის ძახილით დააჯილდოვა პატივცემულნი რომაელნი. დიდი უსამართლობა იქმნებოდა ყურადღება არ მიგვექცია გრ. ჩარკვიანისათვის, რომელმაც მეტად კარგად შეასრულა გრაკხების მამის ტიბერიუსის ქანდაკის როლი (რასაკვირველია, უსიტყვოდ), თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. მთელი ხუთი მოქმედების გათავებამდის კაცი ვერ იფიქრებდა, თუ უსულო ქანდაკის ადგილზე სულიერი არსება იჯდა: არამც თუ არ ინძრეოდა, თვალსაც არ ახამხამებდა. წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო; ამის მიზეზი უთუოდ უამინდობა იყო. ძლიერ კარგი იქმნება, თუ ამ პიესას ხელმეორედ წარმოადგენენ. ამასთან, სასურველია, არტისტები უფრო კარგად მოემზადნენ.

დონ-ვალიანი

რუსეთის ქრონიკა

◆ ამერიკის გაზეთს „ჰეროლდ"-ს აუწყებენ პეტერბურგიდან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის განზრახვა აქვს რუსეთში საპასპორტო სისტემა გააუქმოს.

◆ როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, გაზ. „ნაშა ჟიზნ"-ს მე-33 ნომერში მოთავსებულ მოწინავე წერილის პატარა ფელეტონის გამო გამოუცხადეს პირველი გაფრთხილებაო.

◆ 8 დეკემბერს პეტერბურგში მოხდა სოფლის საჭიროებათა გამომრკვევ განსაკუთრებულ საბჭოს პირველი სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა სტატს-სეკრეტარის ს. ი. ვიტტეს მიერ წარმოდგენილი პროექტი საგლეხო რეფორმის შესახებ. საბჭო იმ აზრს დაადგა, რომ ვიტტეს პროექტის სავსებით განხორციელება შეუძლებელია. საბჭოს ზოგიერთი წევრნი კონტრ-პროექტს შეადგენენ, რომელიც შეეხება ვიტტეს პროექტის ზოგიერთ ნაწილების სასურველ ცვლილებას.

◆ მომავალ წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო განიხილავს საკითხს ებრაელთა ბინადრობის საზღვრებში საქალაქო არჩევნების შესახებ. „ნაშა ჟიზნ"-ის სიტყვით, განზრახვა აქვთ გაადიდონ ებრაელ ხმოსნების რიცხვი.

◆ ოდესსიდან იწერებიან, რომ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ადგილობრივ საარტისტო-სალიტერატურო საზოგადოებას აეკრძალა სალიტერატურო საღამოების გამართვაო.

◆ ბესსარაბიის გუბერნატორმა განცხადებით მიმართა კიშინევის მცხოვრებლებს, რომელშიაც ამბობს, ხმაა, რომ კიშინევში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მზადდებაო და აფრთხილებს ხალხს, დაიცავენ წესიერება. დემონსტრაციის მოთავენი და მონაწილენი სასტიკად დაისჯებიანო.

◆ პოლონეთში საზოგადო ქესატობა მძიმედ დასტყობია სათეატრო საქმეს. ბევრი თეატრი დაიხურა და სეთეატრო შენობები პურისა და სხვა-და-სხვა საქონლის საწყობებადაა გადაქცეული. არტისტები დიდ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი. ვარშავაში მრავალმა არტისტმა მოიყარა თურმე თავი სამუშაოს საძებრად.

◆ ამ მოკლე ხანში ვარშავის სამოსამართლო პალატაში პირველად განიხილავენ, ახალ კანონის ძალით, საქმეებს პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ. პირველი საქმე ეხება ტარდსა და ფუქსს, რომელთაც ცნობილი ვექილები იცავენ.

◆ სამოსამართლო პალატის სესსიამ განიხილა კიშინევში საქმე აპრილში მომხდარ უწესოების მონაწილეთა შესახებ. ჩვენება ჩამოართვეს 204 მოწმეს. საქმის განხილვამ ორი დღე გასტანა. 19 ბრალდებულს მიესაჯა დაპატიმრება 2—5 თვემდე; 11 კაცი გამართლებულ იქნა.

◆ ტვერის გუბერნიის რამდენმამე მღვდელმა შუამდგომლობით მიმართა საერო განათლების სამინისტროს, რათა ნება მისცენ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელებად შევიდნენ.

◆ მთავრობას განზრახვა აქვს, სასულიერო უწყების წარმომადგენელთა დასწრებით, განიხილოს საკითხი მართლმადიდებლობისაგან განდგომილ შტუნდისტების შესახებ.

◆ მოსკოვის კერძო საკომერციო სასწავლებლის დირექტორმა მაზინგმა შუამდგომლობა აღძრა, ნება მისცენ დააარსოს მოსკოვში თავის ხარჯით უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი იმ სასწავლებელთათვის მინიჭებულ უფლებებით.

წერილი რედაქციის მიმართ

I

„ცნობის ფურცლის" მე-2700 ნომერში გამოთქმულია სურვილი, გამომჟღავნდეს რამ გამოიწვია პეტერბურგელ სტუდენტთა შორის განხეთქილება. სამწუხაროდ, დაწვრილებით ამ განხეთქილების მიზეზების გამოქვეყნება პრესსის საშუალებით შეუძლებელია. იმედი გვაქვს, ახლო მომავალში ყველაფერი დაწვრილებით იქნება გამოცხადებული.

დღევანდელი წერილი 61 ქართველ სტუდენტისა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვეულებრივ საღამოს მართავს უმცირესობა ქართველ სტუდენტებისა ისეთ პირობებში, რომელშიაც სტუდენტთა არც ერთი წრე, არც რუსებისა და არც სხვა რომელიმე ტომისა, არ დასთანხმდა საღამო გაემართა. აღნიშნული ინციდენტი სრულებით არ არის უბრალო, როგორც გაზეთი ამბობს, არამედ მას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

პეტერბურგელი სტუდენტები **შ. ელიავა,**
ა. ბებურიშვილი.

II

10 დეკემბერს, ღამის პირველ საათზე, ქუთაისის სადგურის პირველ კლასის ბუფეტში, როდესაც ერთ ჩვენ ამხანაგს, ბარგის მზიდავს, ი. ს—ძეს ბარგი გამოჰქონდა სად. რიონში მიმავალ სახალხო მატარებელში შესატანად, კარებთან შეეხვა თავადი ნ. დ. ერისთავი. თავადმა შესძახა, გზა დამიცალეო და როდესაც ამ უკანასკნელმა უპასუხა: ბატონო, გაჩერებული ვარ და მიბრძანდითო, მან ლანძღვა დაუწყო. ს—ძემ უპასუხა: „მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია, თუ დავაშავე რამე, ბოდიშს ვიხდიო". თავადმა იუკადრისა, როგორ მიბედავ სიტყვის შებრუნებასაო, მივარდა და ცემა დაუწყო, რითაც კერძოდ ჩვენს ამხანაგს და საზოგადოდ მთელ ჩვენ არტელს შეურაცხყოფა მიაყენა. ჩვენ ვკიცხავთ თავადის ასეთ ძალმომრეობით საქციელს და თანაგრძნობას ვუცხადებთ უმიზეზოდ გალახულ ამხანაგს.

მათე ჩხიკვაძე, ერმილე ბოლქვაძე, სერგო მამეშვილი, სიმონ მეფარიშვილი, ეპიფანე დოლიძე, თომა მგელაძე, ნიკოლოზ დოლიძე, ნიკიფორე გეორგაძე, გიგო ბერაძე, ივანე კეშელავა, ექვთიმე თავბერიძე, ერმილე თავბერიძე, დათიკო ჭინჭარაშვილი, ვიქტორ მეფარიშვილი.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

15 დეკემბერი

კელცი, 11 დეკემბერი. საღამოს სადგურ ელნასა და რადომს შუა დაზიანდა რკინის გზის ორი ხიდი. კაცთაგან არავინ დაშავებულა. ხიდები მალე გაასწორეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 14 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,50
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	91¼
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	423
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	316½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	265
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	226

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან.**

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

სადღესასწაულო საჩუქარი

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში „ქართველ ქალთა წრის" მიერ გამოცემული

„ზღაპრები"

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ბ-ნ შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა და შეიცავს 160 გვ. ფასი 1 მან. 30 კაპ. (2—2)

ბროლის ვარდის ფერი
საპონი
№ 4711
შეიცავს ბევრ გლიცერინს.
დიდი ეკონომია, რადგან ბევრი ქაფი იცის.
ნაზი სურნელებ ვარდისა,—აი თვისება, რომლითაც ეს საპონი დიდად განირჩევა.
ფერდ. მიულჰენსი,
სამრეკლოში № 4711 კელნსა და რიგაში.
(6—მც.—2)

СѢДЕЛЬН,
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრნიეს ახლოს. (წ.—176—93)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Доз. цен. Тифлисъ, 16 декабря 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.